



წევრობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი,

12 მარტი, 2026 წ.

ერთი მხრივ, ააიპ ასოციაცია ბუნებრივი ღვინო ს/კ 416333248, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ მღვდლიაშვილის სახით (შემდგომში - „ასოციაცია“),

და მეორე მხრივ, იურიდიული პირი: _____

(სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი), შემდგომში „წევრი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის (ან შესაბამისი უფლებამოსილი პირი) _____ (სახელი და გვარი, პირადი ნომერი) სახით,

ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანია წევრსა და ასოციაციას შორის ურთიერთობების განსაზღვრა და დარეგულირება.

მუხლი 2. ასოციაციის წევრობის პირობები

წევრი პასუხისმგებლობას იღებს სრულად დაიცვას და შეასრულოს შემდეგი პირობები:

ა. ზოგადი პრინციპები

1. წევრი უნდა ეწეოდეს მხოლოდ ორგანულ ან ბიოდინამიურ მევენახეობას და ბუნებრივ (ნატურალურ) მეღვინეობას.
2. წევრი უნდა გაუფრთხილდეს გარემოს, ეცადოს შექმნას ვენახში შესაძლებლად თვითკმარი ეკოსისტემა და დაიცვას ან განაახლოს მცენარეთა და ნიადაგის ბიომრავალფეროვნება.
3. წევრი უნდა აღიარებდეს ღვინის წარმოშობაში ტერუარის პრიორიტეტულ წვლილს და თავისი საქმიანობით ხელს უწყობდეს ტერუარის თვისებების წარმოჩენას.

ბ. ვენახის გაშენება და მოვლა

1. წევრი უნდა აშენებდეს და უვლიდეს ვენახს ორგანული (ბიო ან ბიოდინამიური) მოთხოვნების შესაბამისად.
2. წევრს ეკრძალება ბუნებრივ ვენახთან ერთად კონვენციური ვენახის ქონა, რაც წარმოადგენს პარალელურ წარმოებას. (*კონვენციური ვენახი ნიშნავს ვენახს, რომლის მოვლა არ იწარმოება ორგანული ან ბიოდინამიური წესების შესაბამისად).
3. წევრის ოჯახის წევრებს (მეუღლე, მშობელი, შვილი, დედამამიშვილი), რომლებიც ჩართულნი არიან წევრის მევენახეობა-მეღვინეობის მეურნეობაში და ენიჭებათ გარკვეული პასუხისმგებლობა ამ მეურნეობის მართვაში, ეკრძალებათ ბუნებრივ ვენახთან ერთად კონვენციური ვენახის ფლობა ან მართვა, რაც წარმოადგენს პარალელურ წარმოებას.
4. წევრმა ვენახის მოვლისას უნდა გამოიყენოს მხოლოდ ბიოლოგიური ან კონტაქტური ქიმიური პრეპარატები, რომელიც აღიარებულია და გამოიყენება ორგანული ან ბიოდინამიური მევენახეობის მიმდევარი საერთაშორისო საზოგადოებების ან/და გაერთიანებების მიერ.
5. ისეთი პრეპარატის გამოყენებისას, რომელიც არ არის ასოციაციისთვის ცნობილი, წევრი ვალდებულია დაასაბუთოს მისი უვნებლობა, წარმოშობა და ორგანული ან ბიოდინამიური მევენახეობის მიმდევარი საერთაშორისო საზოგადოებებისათვის მისი ცნობადობა.
6. წევრს ეკრძალება ნებისმიერი სახის სისტემური პესტიციდის, ნებისმიერი ჰერბიციდის და ქიმიური სინთეზის შედეგად მიღებული სასუქის გამოყენება, მათ შორის: ვენახის გაშენების წინ ნაკვეთის გასუფთავებისას, ვენახის გარშემო, სანერგის მოსაწყობად, ნერგების

გამოყვანისას და სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, რაც უკავშირდება ვაზსა და ვენახს.

გ. მოსავლის მიღებისა და გადამუშავების პირობები

1. წევრმა უნდა დააყენოს ღვინო საკუთარი ვენახის ყურძნისგან, რომლის მოვლაში და მართვაში ჩართულია თვითონ.
2. საკუთრებაში არსებული ვენახ(ებ)ის გარდა დასაშვებია ღვინის დაყენება სარგებლობაში არსებული (იგივე ნაყიდი) ან/და იჯარით აღებული ვენახის ყურძნისგან.

ამ შემთხვევაში ვენახი უნდა:

ა) ეკუთვნოდეს ასოციაციის სხვა წევრს;

ბ) ეკუთვნოდეს არაწევრ მევენახეს, რომელსაც ეს ვენახი აქვს საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიცირების ორგანოს მიერ¹ სერტიფიცირებული;

გ) იყოს ყოველწლიურად, მოსავლის წლის განმავლობაში, ინსპექტირებული ასოციაციის მიერ და მისი ორგანულობა ან ბიოდინამიურობა დადასტურებული.

დ. ღვინის დაყენება, დუღილი, გოგირდის გამოყენება, გაფილტვრა, ეტიკეტირება

1. წევრმა ღვინის დაყენებისას არ უნდა გამოიყენოს ის ხერხები და საშუალებები (იქნება ეს ქიმიური, ბიოლოგიური თუ ფიზიკური ჩარევა), რომლებმაც შეიძლება თვისებრივად შეცვალონ ღვინის ბუნებრივი ორგანოლექტიკური თვისებები.
2. დაშვებულია მარნის შიდა გარემოს ტემპერატურის რეგულირება.
3. ღვინის დაყენებისას დაშვებულია დურდო/წვენის მხოლოდ ბუნებრივი დუღილი (ე.წ. სპონტანური ფერმენტაცია), ბუნებრივად ყურძენზე მცხოვრები და რთველის დროს ყურძენს მოყოლილი საფუარების

¹ საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიცირების ორგანო წარმოადგენს ორგანიზაციას:

1. რომელიც ვენახების შემოწმებისას მოქმედებს ISO/IEC 17065:2012 სტანდარტის მიხედვით, ხოლო ვენახის ორგანულობას ადარებს ევროპული ან ჩრდილო ამერიკული ნაციონალური მთავრობების მიერ შემუშავებულ ბიო სტანდარტებს.

2. რომლის მოღვაწეობა აკრედიტებულია (ნება დართულია) ევროპის ან ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ნაციონალური მთავრობების აკრედიტაციის ორგანოს მიერ.

3. რომლის მოღვაწეობა და საქმიანობა ყოველწლიურად მოწმდება აკრედიტაციის ორგანოს მიერ ჩატარებული აუდიტებით. ასეთი ორგანიზაციებია მაგალითად: დემეტერი, კავკასსერტი, და ა შ.

გამოყენებით, რომელიც ყურძნის დაჭყლეტვა/დაპრესვისას ხვდება დურდოში და წვენში.

4. აკრძალულია როგორც მშრალი ფხვიერი ფორმით ნებისმიერი საფუარის, ისე ლაბორატორიაში გამოყვანილი საფუარის წმინდა კულტურის (იქნება ეს თხევადი, მშრალი თუ სხვა სახის) გამოყენება დუღილისათვის.
5. წევრს ეკრძალება გოგირდის ან სხვა ნებისმიერი ინჰიბიტორის დამატება ყურძენზე და დურდო-წვენზე დუღილის დაწყებამდე და დუღილის მიმდინარეობის ნებისმიერ ფაზაში.
6. დაშვებულია გოგირდის დამატება ღვინოში, ბოთლში ჩამოსხმის წინ ან უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, ფერმენტაციის შემდეგ დავარგებისას.
7. გოგირდის საერთო შემცველობა ლიტრზე არ უნდა აღემატებოდეს 50 მილიგრამს.
8. წვერი უფლებამოსილია, აუცილებლობის შემთხვევაში, გამოიყენოს მხოლოდ უხეში (2 და მეტი მიკრონის დიამეტრის ფორებიანი) ქალაღის ან მუყაოს ფილტრი.
9. წვერი ვალდებულია გამოიყენოს ეტიკეტი, რომელიც სიმართლით და სრულად ასახავს ღვინის წარმოშობას.

მუხლი 3. შესრულებული სამუშაოების აღრიცხვა და ასოციაციის ინფორმირება

- ა. წვერი ვალდებულია, ასოციაციას მიაწოდოს ინფორმაცია მის საკუთრებაში და სარგებლობაში არსებული ვენახებისა და მარნის შესახებ. ეს ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ყოველი კალენდარული წლის პირველ კვარტალში და წლის ბოლოს დეკლარაციის ფორმის (იხ. დანართი #1) მიხედვით.
- ბ. წვერმა უნდა აწარმოოს ვენახისა და მარნის მოვლის ჩანაწერები, ასევე ყურძნის მოსავლის მიღებისა და დაწურვის ჩანაწერები.
 1. ვენახის მოვლის ჩანაწერები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ვენახში ჩატარებული ყველა ძირითადი სამუშაოს (გასხვლა, დახვნა, კულტივაცია, გაფურჩვნა, შეწამვლა და ა.შ.) შესახებ, ასევე - ინფორმაციას გამოყენებული პრეპარატებისა და მათი დოზების შესახებ.
 2. ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება ეხება იმ ნაკვეთებსაც, საიდანაც წვერი აპირებს ყურძნის შექმნას ღვინის დასაყენებლად ან უკვე შეიძინა იგი.

- ა) წვერი ვალდებულია, წლის დასაწყისში წარმოადგინოს ინფორმაცია იმ ვენახების შესახებ, საიდანაც იგი აპირებს ყურძნის დაწურვას და ღვინის დაყენებას.
 - ბ) წვერი ვალდებულია ყურძნის შესყიდვის შესახებ წერილობით აცნობოს ასოციაციას და წლის ბოლომდე დამატებით გადაიხადოს ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი საწევრო გადასახადი.
 - 3. ყურძნის მოსავლის მიღებისა და დაწურვის ჩანაწერები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოსავლის მიღებისას დაწურული ყურძნისა და მიღებული ღვინის (ღვინომასალის) რაოდენობების შესახებ.
 - 4. წვერი ასევე ვალდებულია ყოველწლიურად, წლის მეორე ნახევარში, მიაწოდოს ასოციაციას ინფორმაცია მის მარანში არსებული ღვინის მარაგების შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მონაცემებს მის საკუთრებაში (ან სარგებლობაში) არსებული ვენახ(ებ)იდან დაყენებული ღვინის შესახებ.
 - 5. ვენახსა და მარანში წარმოებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მისაღებია როგორც ელექტრონული, ასევე წერილობითი ჩანაწერების სახით.
- გ. წვერი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ასოციაციას ვენახ(ებ)სა და მარანში წარმოშობილი ცვლილებების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში (მაგ. ახალი ვენახ(ებ)ის შექმნა/სარგებლობა ან/და ახალი მარნის აშენება).
- დ. წვერს ეკრძალება არადეკლარირებული ვენახის ყურძნისგან დაყენებული ღვინის რეალიზაცია.

მუხლი 4. საწევრო გადასახადი, გადახდის წესი

- ა. ასოციაციის წევრობისათვის დადგენილია ყოველწლიური საწევრო გადასახადი, რომელიც გამოითვლება წვერის საკუთრებაში და სარგებლობაში არსებული მსხმოიარე ვენახის ფართობის მიხედვით.
- ბ. წვერისთვის, რომელსაც საკუთრებაში ან/და სარგებლობაში გააჩნია მხოლოდ 5.000 (ხუთი ათასი) კვ.მ. ან ნაკლები მსხმოიარე ვენახი, მინიმალური საწევრო გადასახადი შეადგენს 150 ლარს.
- გ. საბაზისო საწევრო გადასახადი შეადგენს 400 ლარს. აღნიშნულ გადასახადს იხდის ასოციაციის წვერი, რომელსაც საკუთრებაში ან/და სარგებლობაში

გააჩნია 5.000 (ხუთი ათასი) კვ.მ.-ზე მეტიდან 30.000 (ოცდაათი ათასი) კვ.მ.-მდე მსხმოიარე ვენახი.

- დ. წევრი, რომელსაც საკუთრებაში ან/და სარგებლობაში გააჩნია 30.000 (ოცდაათი ათასი) კვ.მ.-ზე მეტი მსხმოიარე ვენახი, საბაზისო საწევრო გადასახადის გარდა, ყოველ დამატებით 10.000 (ათი ათასი) კვ.მ. ვენახზე იხდის 100 ლარს (მაგ. თუ წევრს აქვს 50 000 კვ/მ მსხმოიარე ვენახი, მას გადასახადი ექნება 400 + 200 - ჯამში 600 ლარი).
- ე. მსხმოიარედ არ ჩაითვლება ვენახი, თუკი იგი რაიმე ობიექტური მიზეზების გამო (მაგ. სეტყვა, ხანძარი, მეწყერი და ა.შ.) ვერ იძლევა იმის ნახევარ ყურძენსაც, რასაც, ჩვეულებრივ შემთხვევაში უნდა იძლეოდეს. ვენახის მსხმოიარობის შეფასება შესაძლოა მოხდეს კონკრეტულ ვენახში ინსპექტირების ჯგუფის დამატებითი ვიზიტის შემდეგ.
- ვ. საწევრო გადასახადის დაანგარიშება ყოველ კალენდარულ წელზე ხორციელდება წინა წლის მდგომარეობით წევრის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ვენახ(ებ)ის ფართობის მონაცემების მიხედვით. აღნიშნული საწევრო გადახდილი უნდა იყოს წლის პირველ კვარტალში ასოციაციის ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვით.
- ზ. თუ ასოციაციის წევრი საპატიო მიზეზით ვერ ახერხებს დადგენილ ვადაში საწევროს გადასახადის დაფარვას, იგი ვალდებულია, წერილობით მიმართოს ასოციაციას და მოითხოვოს დამატებით არაუმეტეს 9 თვე დავალიანების დასაფარად.
- თ. საწევრო გადასახადის წლის ბოლომდე გადაუხდელობა შესაძლოა გახდეს წევრობის შეჩერების საფუძველი.

მუხლი 5. ინსპექტირებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები

- ა. ასოციაცია უფლებამოსილია, ყოველწლიურად მოახდინოს წევრის საკუთრებაში და სარგებლობაში არსებული ვენახ(ებ)ისა და მარნ(ებ)ის ინსპექტირება და წევრის მიერ დაყენებული ღვინის შემოწმება.
- ბ. ვენახსა და მარანში სავალდებულო ინსპექტირება უტარდებათ იმ წევრებს, რომლებიც მოითხოვენ მათ ღვინოებზე ასოციაციის ნიშნის განთავსებას.
- გ. ასოციაცია ვალდებულია წევრი გააფრთხილოს გეგმიური ინსპექტირების შესახებ, ინსპექტირებამდე მინიმუმ 5 სამუშაო დღით ადრე.

- დ. საჭიროების შემთხვევაში ასოციაციას უფლება აქვს, ჩაატაროს დამატებითი გაუფრთხილებელი ინსპექტირება მისთვის სასურველ დროს.
- ე. ასოციაცია წევრის ვენახისა და მარნის ინსპექტირებას ახდენს დათვალიერებითა და გასაუბრებით; ასევე, ამოწმებს ვენახში გამოყენებულ პრეპარატებს და ეცნობა შესაბამის დოკუმენტებსა და ჩანაწერებს.
- ვ. ვენახისა და მარნის შემოწმების დროს ასოციაციას უფლება აქვს, აიღოს ნიმუში გამოყენებული პრეპარატების შესამოწმებლად. ნიმუში შეიძლება იყოს ვენახის ფოთოლი, ნიადაგის სინჯი, ან ყურძენი.
- ზ. ასოციაციის ნიშნის განთავსებასთან დაკავშირებული ინსპექტირების გარდა, ასოციაცია უფლებამოსილია ყოველწლიურად მოახდინოს შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეული წევრების ღვინოების შემოწმება.
- თ. ღვინის შემოწმებისას ასოციაცია ახდენს შერჩეული ღვინის შესყიდვას სავაჭრო ქსელიდან, რომელსაც შემდგომში აგზავნის ლაბორატორიაში ქიმიური და ბიოლოგიური შემოწმების მიზნით.
- ი. ლაბორატორიის პასუხების მიხედვით ასოციაციას უფლება აქვს ჩაატაროს როგორც გეგმიური, ასევე - გაუფრთხილებელი ინსპექტირება ყველა იმ წევრის მარანსა და ვენახში, რომლის ღვინოშიც დაფიქსირდება შეუსაბამობები.
- კ. ასოციაცია ვალდებულია ლაბორატორიული ანალიზის პასუხების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული ფოსტით გაუზიაროს ლაბორატორიული ანალიზის პასუხები ყველა შემოწმებული ღვინის მფლობელ წევრს.
 1. შეუსაბამობის დაფიქსირებისას წევრს უფლება აქვს ასოციაციის შეტყობინებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მოითხოვოს განმეორებითი ლაბორატორიული შემოწმება. ამ შემთხვევაში, წევრი ასოციაციის წარმომადგენელის თანდასწრებით ახდენს შესაბამისი ღვინის შესყიდვას სავაჭრო ქსელიდან და მის გაგზავნას ასოციაციის მიერ რეკომენდებულ ლაბორატორიაში შესამოწმებლად. აღნიშნულ შემთხვევაში ღვინის შესყიდვის, ლაბორატორიაში გაგზავნისა და შემოწმების ხარჯებს იხდის წევრი.
 2. შეუსაბამობების დაფიქსირებისას განმეორებითი შემოწმების პროცედურის დასრულებამდე შესაბამის მარანს უჩერდება წევრობა.
 3. იმ შემთხვევაში თუ განმეორებითი შემოწმებისას არ დაფიქსირდება ღვინოში შეუსაბამობები, წევრი თავისუფლდება სავალდებულო ინსპექტირებისგან და შესაბამისი სანქციებისგან.

- ლ. წევრს ორჯერ შეუძლია საპატიო მიზეზით გადაავადოს ასოციაციის მიერ მოთხოვნილი ინსპექტირება. მესამე ჯერზე გადავადების შემთხვევაში ასოციაციას შეუძლია დააყენოს წევრობის შეჩერების საკითხი.
- მ. შეთანხმებულ ინსპექტირებაზე თავის არიდების შემთხვევაში წევრი იხდის ჯარიმას 200 ლარის ოდენობით. მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში ასოციაცია უფლებამოსილია დააყენოს წევრობის შეჩერების საკითხი.
- ნ. ინსპექტირების პროცედურა გაწერილია დანართში #2 და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- ო. შეუსაბამობების შემთხვევაში ასოციაციის მიერ ჩატარებული განმეორებითი ინსპექტირების ხარჯებს ანაზღაურებს ასოციაციის წევრი.

მუხლი 6. ასოციაციის ნიშნის მინიჭება

- ა. ასოციაცია უფლებამოსილია, მოთხოვნის საფუძველზე, მიანიჭოს წევრის კონკრეტულ ჩამოსხმულ ღვინოს ასოციაციის ნიშანი. აღნიშნული ნიშანი წარმოადგენს ასოციაციის ლოგოს და მისი განთავსება ჩამოსხმულ ღვინოზე შესაძლებელია მხოლოდ ასოციაციისგან მინიჭებული ნებართვის საფუძველზე.
- ბ. ასოციაციის ნიშანი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ იმ ღვინოს, რომელიც დაყენებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის ყველა მოთხოვნის შესაბამისად და შედეგად.
- გ. კონკრეტული ღვინოსათვის ასოციაციის ნიშნის მისანიჭებლად ასოციაციის წევრი ვალდებულია, წარუდგინოს ასოციაციას ღვინის ნიმუში და შეავსოს ნიშნის გაცემის განაცხადის ფორმა (იხ. დანართი #3), სადაც მითითებული იქნება ყურძნის ჯიში, დაყენების წელი, ღვინის რაოდენობა და საერთო გოგირდის SO₂ შემცველობა ლიტრ ღვინოზე.
- დ. წევრს უფლება აქვს, ასოციაციის ნიშანი გამოსახოს მხოლოდ იმ ღვინის ეტიკეტზე, რომელსაც მიანიჭეს იგი.
- ე. ასოციაციას უფლება აქვს, არ დააკმაყოფილოს წევრის მოთხოვნა და უარი თქვას ღვინოზე ნიშნის მინიჭებაზე, თუ ვენახსა და მარანში ინსპექტირების შედეგად გამოვლინდება შეუსაბამობები.

მუხლი 7. დისციპლინური პასუხისმგებლობა, წევრობის შეჩერება და ხელშეკრულების შეწყვეტა

- ა. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.
- ბ. წევრის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან/და წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მის მიმართ გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, მათ შორის წევრობის შეჩერება, რაც წარმოადგენს უკიდურეს ზომას.
- გ. ასოციაციისათვის ნებისმიერი სახის (ფიზიკური, ფინანსური, რეპუტაციული და სხვ.) ზიანის მიყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს წევრობის შეჩერება.
- დ. წევრობის შეჩერების წესი და პირობები დამატებით განსაზღვრულია სანქციების დოკუმენტში (იხ. დანართი #4), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- ე. წევრობა შეჩერებულად ითვლება ასოციაციისგან შესაბამისი შეტყობინების მიღებისთანავე.
- ვ. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ასოციაციიდან წევრის გასვლის ან მისი წევრობის შეჩერების შემთხვევაში.
- ზ. წევრს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება საკუთარი ნების შესაბამისად. წევრის მხრიდან ცალმხრივად ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია, წერილობით აცნობოს ასოციაციას ამის შესახებ.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

- ა. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე ან ელექტრონულად დადასტურებისთანავე.
- ბ. ხელშეკრულება მოქმედებს ასოციაციის წევრობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 9. დავები

- ა. წინამდებარე ხელშეკრულების ხელშემკვერელ მხარეებს შორის წარმოშობილ დავას მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

ბ. მხარეთა შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო.

მუხლი 10. შეტყობინება

ა. მხარეებმა ერთმანეთისადმი შეტყობინებები უნდა განახორციელონ ამ მუხლში მითითებულ შემდეგ საკონტაქტო მონაცემებზე:

1. ასოციაცია

სახელწოდება: ააიპ ასოციაცია ბუნებრივი ღვინო
მისამართი: რუსთავი, ალ. მესხიშვილის ქ., №11, ბ. 81
ტელ: +995 555 70 88 +995 599 96 33 17
ელ. ფოსტა: info@nwa.ge

2. წევრი

სახელწოდება: -----
მისამართი: -----
ტელ: -----
ელ. ფოსტა: -----

მუხლი 11. სხვა პირობები

ა. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება, შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომელთაც მიენიჭებათ იურიდიული ძალა, თუ ისინი შესრულებულია წერილობით და ხელმოწერილია მხარეების მიერ.

ბ. ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას.

გ. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით.

დ. ხელშეკრულებაში მითითებული ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.

ე. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარისაგან, ქართულ ენაზე, სათითაოდ თითოეული მხარისათვის.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

ასოციაცია	წევრი
სახელი: ასოციაცია ბუნებრივი ღვინო	სახელი: _____
საიდენტიფიკაციო კოდი: 416333248	საიდენტიფიკაციო კოდი: _____
მისამართი: საქართველო, რუსთავი, ალ. მესხიშვილის ქ., №11, ბ. 81	მისამართი: _____ _____
ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“	ბანკი: _____
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: _____
ანგარიშის ნომერი: GE95TB7601236060100001	ანგარიშის ნომერი: _____
დირექტორი: ზურაბ მღვდლიაშვილი	დირექტორი: _____

